№ 219 მთავრობის მოამბე

# საქართველოს რესპუბლიკა

ყოველდღიური გაზეთი ხელიხადი ფერრე

ფასი 1 მანეთი. სამშაბათი 30 სექტემბერი 1919 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განცხადებანი)
„საქართველოს რესპუბლიკა"

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალკე № ყველგან 1 მან. საგალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება ქალაქ 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82

## სახელმწიფო თეატრი

**ოპერა ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით. სეზონი—1920 წ.**

**ტრუპის შემადგენლობა:**

**ხოპრანი:** ალეშკო მ. ი., აგასოვი—კალანდაძე ძ. ი., ალჩევსკაია მ. ა., ვოლ. ლევიცკაია ა. ს., ვიშვეირსკაია მ. ა., დე—რობერტი, ხელინსკაია ფ. ს., კეპარეოვა ს. ა., მახდენოვა ს. გ., ციბიაევა. ორლოვა ფ. ბ., რის ო. ლ., შულგინა ო. ლ. **მეცეკა-ხოპრანი:** გლასგ. ფ. ერიოლინსკაია. ხორინა. ინსა მ. ა., შიხდინევსკაია. **ტენორი:** ბალიპსკი ბ. ი., მარკოვი შ. ს., მოლჩანოვი ი. პ., პოლიანოვი ს. ი., როგჩევსკი ი. პ., სარაჯიშვილი ი. პ., ჭუმბურიძე. **ბარიტონი:** ინაშვილი ა. ი., ისკანდერი ა. გ., პოლიაევი ფ. ნ., თარხნიშვილი. **ბასი.** დეგრანეტენკო, ისეკი ლ. ნ., იმერლიშვილი, სიბინინი ი. დ. **კომპრიმარიო:** ოვსიანიკოვა ლ. ა., ზასლავსკაია ო. ფ., კურბატოვი ა. გ., ორლიუკი, ქურხული, ეზროვი. **დირიჟორი:** კომპანეეცი გ. ფ., ფალიაშვილი ზ. პ., სტოლერმანი ს. ა., ჩერკასხინი ნ. ნ. **ხორმეისტერი:** კორნეოხი ვ. ა., სიბინიშვილი. **კონცერტ-მეისტერი:** სოკოლოვა ლ. ა., სიბინი-გუსი ე. დ., ფალიაშვილი უ. პ., ჟ. პ. **რეჟისორი:** ბელსკი ა. დ.

ბალეტი 10 წყვილისგან ბალეტმეისტერ ს. ფ. ვაკარეცის ხელმძღვანელობით. პრიმა-ბალერინა ბალეტრზაკი. ხორ—50 კაცისაგან. ორკესტრი—60 კაცისაგან. სიმღერა ნაწილის გამგე ა. ა. ზალცმანი.

**სეზონი დაიწყება** შაბათს, 4 ოქტომბერს სრულიად ახლათ, ახალი დეკორაციებით, ახალ კოსტიუმებში და გაძლიერებული ხოროთი დაიდგმება შულგინას, ვიშვეირსკაიას, ხორინას, სარაჯიშვილის, იხაშვილის, ჭუმბურიძის მონაწილეობით: **ორიგინალური ქართული ოპერა ზ. პ. ფალიაშვილისა: „აბესალომ და ეთერი".** დადგმას ა. წუწუნავა.

კვირას, 5 ოქტომბერს დაიდგმება: „ეროვნა", ორშაბათს, 6 ოქტომბერს: „ევგენი ონეგინი", სამშაბათს, 7 ოქტომბერს ქართულ ენაზე: „დენონი".

ბილეთები იყიდება სახელმწიფო თეატრის კასაში 11 დან 2 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. 1853 3—2

## სახელმწიფო თეატრი

**ოპერა ს. ი. ევლახიშვილისა, პირველი აბონიმენტის პირველი სპექტაკლი.**

შაბათს, 4 ოქტომბერს სეზონის გახსნა: ბახუტაშვილისა, ვიშვეირსკაიას, ხორინას, სარაჯიშვილის, ინაშვილის, ჭუმბურიძეს მონაწილეობით, ქართული ორიგინალური ოპერა ზ. ფალიაშვილისა

## აბესალომ და ეთერი

დასდგამს წუწუნავა, დირიჟორობს ავტორი. კვირას, 5 ოქტომბერს რისის, ვიშვეირსკაიას, მარკოვის, ისეკის, პოლიანოვის მონაწილეობით „ეროვნა", ორშაბათს, 6 ოქტომბერს ვოლ. ლევიცკაიას, გლაზის, ინსას, ბალიპსკის. ინაშვილის, ისეკის მონაწილეობით „ევგენი ონეგინი". სამშაბათს, 7 ოქტომბერს, შულგინას, (ბახუტაშვილის) ხორინას, სარაჯიშვილის, პოლიაევის, ისეკის მონაწილეობით „დენონი". კასა ღია დილა 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათ. სპექტაკლის დასაწყისი სრულ 7½ საათზე. 1870 1—1

## სახალხო სახლი (ზუბალაშვილისა)

ხუთშაბათს, 2 ოქტომბერს

**დასავლეთ საქართველოდან და ფრონტიდან დაბრუნებული**

## „კაპელა"

**ქართ. სამუსიკო საზ-ების და ამიერკავკ. პოპულარ. კავშირისა**

კომპოზიტორ დ. ი. არაყიშვილის ლოტბარობით

**გამართავს კონცერტს.**

## სასახლის გაღმა

**იყიდება ხელმისაწვდენ ფასად**

**ოთახის ეცენარეები**

იკითხეთ მებაღე ჭინჭარაძესთან 10—3 საათ.

**ოფიციალური განყოფილება.**

## განკარგულებანი

**ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროსი.**

20 სექტემბერი, 1919 წ., № 209.

**დაინიშნა** ახალციხის მაზრის აქციზის ინსპექტორის უნცროს თანაშემწეთ დავით მალხაზის ძე ინანიაშვილი ამა წლის 16 სექტემბრიდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხ. ს. **ავალიანი.**

22 სექტემბერი, 1919 წ. № 210.

**განთავისუფლებულია:** სამსახურის მოვალეობის აღსრულებისაგან ორი კვირის ვადით სამთო სამმართველოს ქიმიკოსი მიხეილ შალამბერიძე ამა წლის 22 სექტემბრიდან.

№ 211.

**შეუდგეს** თავის თანამდებობის აღსრულებას მთავარ საბჭოს გამგე ბ. მიქაძე ამა 14 ენკენისთვიდან.

ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტის დირექტორი **აბხაზი.**

**იუსტიციის მინისტრისა.**

20 სექტემბერი, 1919 წ., № 220.

**განთავისუფლებულია** თანამდებობიდან და სრულიად დათხოვნილია სამსახურიდან: თანახმად თავისი თხოვნისა ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგი სტეფანე ნიკოლოზის ძე კოვალენკო ამა წლის პირველ ოქტომბრიდან.

№ 219

**თავისუფლება მიეცა:** ავადმყოფობის გამო ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგს სტეფანე ნიკოლოზის ძე კოვალენკოს ამა წლის 20 სექტემბრიდან ოქტომბრის 1-მდე.

მინისტრის მაგ. **ნ. ჭიჭოძე.**
დირექტორი გ. **ყორდანია.**

**ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სამმართველოსი.**

15 სექტემბერი, 1919 წ., № 51.

**გამწესებულია:** ყოფილი ფოსტალიონი ერემია შუბლაძე ხელახლად ფოსტალიონად 480 მან. ჯამაგირით წელიწადში გუდაუთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში 16 ენკენისთვიდან 1919 წ.

**დანიშნულია:** ფოსტალიონი ჭიათურის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ვარნავა (იგივე ბარნაბა) ჩუბინიძე ფოსტა ტელეგრ. ბოხელეთ მე V ხარ. იმავე კანტორაში 1 ენკენისთვიდან 1919 წ.

**გადაყვანილნი არიან:** ფოსტალიონი დიდიჯიხაიშის ფ.-ტ. განყოფილების ალექსი კოხრეიძე, ფ.-ტ. ბოხელეები მე IV ხარ. ქუთაისის ფ.-ტ. კანტორის ქსენია კუხიანიძისა, მე III ხარ. ფოთის ფ.-ტ. კანტორის რაფაილ ფარცხალაძე, დროებით აღმასრულებელი ზედამხედველის თანამდებობისა დაბალი ჯამაგირის ხაგომარის ფ.-ტ. განყოფ. გალაქტიონ სამსონაძე, დროებით დაქირავებული დროებით აღმასრულებელი ზედამხედველის თანამდებობისა მაღალი ჯამაგირისა სამტრედიის ფ.-ტ. კანტორის კონსტანტინე კობალაძე იმავე წოდებებით: კოხრეიძე ტფილისის ფოსტის კანტორაში, სამსონაძე ბახვის ფ.-ტ. განყოფილებაში, ფარცხალაძე სოხუმის ფ.-ტ. კანტორაში და კობალაძე და კუხიანიძისა ტფილისის ტელეგრაფის კანტორაში. სულ ყველანი 16 ენკენისთვიდან. მხოლოდ კუხიანიძისა თანახმად თხოვნისა.

**დათხოვნილია სამსახურიდან:** ფოსტალიონი ტფილისის ფოსტის კანტორის სერგო ხვთისიევი თანახმად თხოვნისა 15 ენკენისთვიდან 1919 წ.

სამ. უფროსის მაგიერ **შალიკაანი.**

**არა ოფიციალური განყოფილება**

## მთავრობაში

**20 სექტემბრის სხდომა**

დაესწრენ: მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე—ბ-ნი რამიშვილი; მინისტრები—ბ-ნი ხომერიკი, კანდელაკი; მინისტრის ამხანაგები ჭიჭინაძე, ავალიანი, ერაძე, გედევანიშვილი, გელეიშვილი; იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორი—ქიქოძე; საქმეთა მმართველი ბ-ნი კ. ჯაფარიძე; მდივანი ბ-ნი დიდებულიძე.

**მოკავშირეთა უმაღლესი კომისარის შუამდგომლობა**

ტფილისში მოკავშირეთა უმაღლესი კომისარის შუამდგომლობა რესპუბლიკის ტერიტორიაზე სოხეთის მიერ შეძენილ ჯორების გატარების ნებართვის შესახებ დაკმაყოფილებულ იქნას.

**გერმანიიდან ჩამოტანილი საქონელი**

გერმანიის საეკონომიო კომისიის მიერ ჩამოტანილ საქონლის მიღება და განაწილება მიენდოს მომარაგების მთავარ სამმართველოს. საქონლის მიღების დროს დაესწროს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის უწყების წარმომადგენელი. საქონლის გაყიდვით შემოსული ფული შეტანილ იქნას ხაზინაში იმ სესხის დასაფარავად, რომელიც აიღო გერმანიის მისიამ მთავრობისაგან 1918 წელს.

**მიტოვებული სახაზინო სანადელო მიწები.**

კანონ პროექტი მკვიდრთაგან მიტოვებულ სახაზინო-სანადელო მიწების სახელმწიფო ფონდზე გადასვლისა მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

**მინდვრების გამოჯვნის რეორგანიზაცია**

პროექტი მინდვრების გამოჯვნის რეორგანიზაციისა, გამოჯვნის განყოფილების შტატების და ხარჯთ აღრიცხვისა არსებითათ მიღებულ იქნას და გატარდეს კანონმდებლობითი წესით იმ შემთხვევაში, თუ ხარჯთ აღრიცხვის და შტატების პროექტში აღნიშნული ხარჯები, სახელმწიფოს ბიუჯეტით ნავარაუდევ მიწათ-მოქმედების უწყების კრედიტების გარეშე აღმოჩნდება.

**150,000 მან. გადადება ყარაიაზის არხის შესაკეთებლათ.**

გადაიდოს მიწათ-მოქმედების მინისტრის განკარგულებაში 150,000 მან. ყარაიაზის არხის სათავესთან მტკვრის ტოტის შესაკეთებლათ. ეს თანხა გამოთხოვილ იქნას მიწათ-მოქმედების მინისტრის მიერ დამფუძნებელ კრებაში სათანადო დეკრეტის წარდგენით.

**საბეითლო სასანიტარო განყოფილების შტატებში**

საბეითლო სასანიტარო განყოფილების და რესპუბლიკის საბეითლო პერსონალის შტატები მიღებულ იქნას, ხოლო ჯამაგირების რაოდენობა განისაზღვროს საქმესთან დართულ სახელმწიფო კონტროლიორის მიერ შედგენილ სიაში ნაჩვენები ნორმებით, რომლებზედაც გავრცელდეს 20 მაისის და 2 ივლისის დეკრეტები.

**საერობო არჩევნები ახალციხეში**

საერობო არჩევნები ახალციხის ნაზრაში მოხდეს 26 ოქტომბერს.

**შრატის დამმზადებელი სადგური.**

გაიგზავნოს შერეული კომისია ციხის ჯვარსა და გომბორში იმის გასარკვევათ, თუ სად უფრო მოსახერხებელი და მიზანშეწონილი იქნება შავი ჭირისგან საქონლის ასაცილელ შრატის დამმზადებელ სადგურის მოთავსება.

## შინაგან საქ. სამინისტროში

**მიწერილობა მაზრის კომისრებს**

შინაგან საქმეთა სამინისტრომ შემდეგი მიწერილობა დაუგზავნა რესპუბლიკის ყველა სამაზრო მილიციის უფროსებს. „ბათუმის საქართველოს საკონსულოს ცნობით, ბათუმის ოლქის ძმართველობითი სამჭო მას ატყობინებს, რომ ის ხშირათ ღებულობს კომისრებისაგან მოთხოვნილებას ამა თუ იმ პირის მიცემის შესახებ, რომელშიაც არ არის აღნიშნული ბრალდება და დადგენილება რესპუბლიკის სამოსამართლო დაწესებულებისა. ასეთი მოთხოვნილება იგზავნება კომისრების მიერ, ჩვენი საკონსულოს გვერდის ახვევით, პირდაპირ ბათუმის ქალაქის მილიციის უფროსის სახელზე და ამნაირათ, ვინაიდან არ არის დაცული საჭირო წესი, საკონსულოს როლი იქამდის აღწევს, რომ ის ღებულობს ბათუმის საბჭოსგან უარს ამა თუ იმ პირის მიცემაში

გაცნობებთ რა ამას, მინისტრის დავალებით, წინადადებას გაძლევთ, დაუყონებლივ გასცეთ სათანადო განკარგულება, რათა თითეულს შემთხვევაში დაცულ იქნას არსებული წესი, რომელიც აღიარებს უცხო სახელმწიფოსთან დამოკიდებულების შესაძლებლობას მხოლოდ ნაციონალურ წარმომადგენლების საშუალებით და ამასთან ამა თუ იმ პირის აღნიშნულ წესით უცხო სახელმწიფოსგან მოთხოვნის დროსთან უნდა იქნეს წარდგენილი ბრალდება და დადგენილება სამოსასამართლო დაწესებულებისა.

### გერმანიიდან დაბრუნებულ ტყვეებზე ზრუნვა

შესდგეს შერეული კომისია, რომელშიაც შევა შინაგან საქმეთა, მიწათ-მოქმედების, სამხედრო და ფინანსთა ეაჭრობა-მრეწველობის უწყებათა წარმომადგენელნი, შინაგან საქმეთა უწყების წარმომადგენლის თავმჯდომარეობით. ამ კომისიას დაეკალოს გერმანიიდან დაბრუნებულ სამხედრო ტყვეების საერთო მდგომარეობის გამორკვევა და მათთვის რაიმე ადგილების მიჩენის და დახმარების საკითხის მოგვარება.

### გზატკეცილების უბანთა მოსამსახურეების ჯამაგირები

გზატკეცილების უბანთა მოსამსახურეებს ამ წლის პირველ აპრილიდან დაენიშნოთ შემდეგი ძირითადი ჯამაგირები:

უბნის უფროსს—1000 მან. უბნის უფროსის თანაშემწეს—800 მან. ტეხნიკოსს და უბნის მიწერ-მოწერის გამგეს—700 მან. მოანგარიშეს—500 მან.

საჭირო თანხა გაღებულ იქნას იმ თვიურ კრედიტების დარჩენილ თანხიდან, რომელიც გახსნილია პირველ ივნისიდან.

### ძირითადი პარკის ქონება

ვინაიდან ძირითადი პარკის ქონების გადაცემა მოხდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე და ის დაწესებულებანი, რომელთაც მიუღიათ ქონება, ამ ჟამათ აღარ არსებობს, შესაძლებლათ იქნას ცნობილი, თანახმათ გზათა უწყების მოხსენებისა, ძირითად პარკის ანგარიშით გაუსწორებელ თანხის (233,101 მან. და 58 კაპ.) მოხსნა.

### ნაფიც მსაჯულთა სიების შედგენის შესახებ

მიენდოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინადადება მისცეს ერობათა და ქალაქთა თვითმართველობებს 2 კვირის განმავლობაში წარმოადგინონ ნაფიც მსაჯულთა საერთო სიები. ყველა ის ერობა და ქალაქის თვითმართველობა, რომელნიც არ შეასრულებენ შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებას პასუხის გებაში იქნებიან მიცემული. ეს დადგენილება ძალაში შედის ოქმის დამტკიცებამდე.

### სიტყვიერი სასამართლ. შემოღება ფოცხოვში

შემოღებულ იქნას ფოცხოვის რაონში დროებითი სიტყვიერი სასამართლო.

### ციხეთა გამგებლობის გადაცემა.

რეპუბლიკის ყველა ციხეები გადავიდეს შინაგან საქმეთა უწყების გამგებლობაში ყველა მათთვის არსებულ კრედიტების გადაწერით შინაგან საქმეთა სამინისტროზე. ეს დადგენილება ძალაში შევიდეს ოქმის დამტკიცებამდე.

---

# ეუნიციპალური ცხოვრება.

### ოზურგეთის თვითმართველობაში.

ოზურგეთის ქალაქის საბჭოს მორიგი კრება, რომელიც შესდგა 8 სექტემბერს 1919 წ. გაიხსნა საბჭოს თავმდომარის დ. კ. ერისთავის თავმჯდომარეობით.

დაესწრენ: ქალაქის თავი გ. ე. მურვანიძე, გამგეობის წევრი ს. ცხომელიძე და 9 ხმოსანი.

დღის წესრიგი: 1. მოხსენება ქალაქის მილიციის შტატის გადიდების შესახებ, 2. საგარეო პალატის მომართვა წარმომადგენლების არჩევის შესახებ და 3. გამგეობის წევრებისათვის ჯამაგირების დანიშვნა.

ქალაქის თავი მურვანიძე დღის წესრიგის გარეშე მოხსენებას აკეთებს სამაზრო ერობის მიმართვის გამო. ერობის გამგეობა თხოულობს ქალაქმა დაუთმოს მას ტიფო ნაკაშიძის სახლი, რომელშიც დაც მოთავსებულია მეოთხე ქალაქის დაწყებითი სასწავლებელი, სამაზრო მილიციის მოსათავსებლათ. ბინის საკითხი, ამბობს ის, დღეს ფრიად რთულ საკითხად გადაიქცა, ქალაქში ყველა ბინები დაჭერილია, ჯარის ჩამოსვლამდიც საძნელო იყო ბინის შოვნა, ეხლა კი მით უმეტეს. ბინის სიმცირის გამო, გამგეობა და სასკოლო კომისია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ქალთა გიმნაზიაში მეცადინეობა საღამოობით სწარმოებს, რაიც ძალზე უხერხულია, მარა მეტი გამოსავალი გზა არ არის. ქალაქს აქვს ოთხი დაწყებითი სასწავლებელი, 2 მათგანი დაქირავებულ ბინებზეა მოთავსებული, ყველა შენობა არ გამოდგება სკოლისათვას, ჩვენ ვერ გვიშოვია ბინა გეგმის გადამღებ მომუშავეთათვის და სამხედრო საკრებულოს უფროსისათვის, ჩვენ გვაქვს რეკვიზიციის უფლება, მარა ვერც ეს გვაძლევს სასურველ შედეგს. ერობის მოთხოვნილება რომ შევასრულოთ, ჩვენ მეოთხე სასწავლებელი აუცილებლათ უნდა დავხუროთ, რაიც ყოვლად შეუძლებელია. საჭიროა საბჭომ მიიღოს ამ კითხვის შესახებ ერთგვარი დადგენილება.

კრებამ მიიღო ქალაქის თავის შემდეგი წინადადება: საბჭო შეუძლებლად სცნობს სკოლის ბინის დათმობას—დაეკალოს გამგეობას მიიღოს ყოველივე ზომა მილიციის მოსათავსებლათ საჭირო ბინის შოვნაში.

წინადადება გავიდა ერთხმათ, 2 თავი დაიჭირა.

ამის შემდეგ კრება გადადის მორიგი კითხვების განხილვაზე.

1. პირველათ თანახმათ ქალაქის თავის გ. ე. მურვანიძის მოხსენებისა, საბჭომ მიიღო გამგეობის და საფინანსო კომისიის მოსაზრება ქალაქის მილიციის შტატის გადიდების შესახებ, რომლითაც ქალაქის მილიცია შესდგება: 1 მილიციის უფროსი, 1 მისი თანაშემწე, 1 საქმის მწარმოებელი და 15 მილიციონერი.—მომატებულ რიცხვს მიეცემა არსებული ჯამაგირი, ხოლო მილიციის თანაშემწის შესახებ ჯამაგირის რაოდენობის განსაზღვრა საბჭომ ღიათ დასტოვა.

2. საგარეო პალატის მომართვაზე ოზურგეთში პალატის სესიის მოწყობის შესახებ, რათა უფრო გაადვილებულ იქნას მოსამსახურეთათვის ხელფასის ადგილობრივათ გამორკვევა და დაწესება, რისთვისაც არჩეულ იქნას ქალაქიდან წარმომადგენელი, საბჭომ მიიღო, და თაღის მხრივ წარმომადგენლათ აირჩია ხმოსნები: სევასტი დოლიძე, ბარნაბ მენაბდე და გამგეობის წევრი სიმონ ცხომელიძე.

3. უკანასკნელი კითხვა შეეხება გამგეობის წევრებისათვის ჯამაგირის დანიშვნას.

ხმ. ბარ. მენაბდე ს.-დ. ფრაქციის სახელით წინადადებას იძლევა ქალაქის თავს დაენიშნოს 2500 მანეთი თვეში, გამგეობის წევრებს კი 2000 მანეთი თვეში თითოს, ხმ. ილია ფერაძის წინადადება ქალაქის თავს 3500 მანეთი, გამგეობის წევრებს 2500 მანეთი თვეში. ვლ. ცეცხლაძის—ქალაქის თავს 3000 მ., გამ. წევრებს 2500 მან.

კრებამ 7 ხმით ორმა თავი დაიჭირა, მიიღო პირველი წინადადება. ე. ი. ქალაქის თავს 2500 მანეთი და გამგეობის წევრებს 2000 მანეთი თითოს თვეში.

ხსენებული მომატებები მათ მიეცემა 1-ლ ივლისიდან.

---

# საქართველოს კურორტები

საქართველოში თავისთავათ ცხადია ჭლექი და მალარია უკანასკნელ საფეხურამდის არის მიღწეული და ფილტვებით სისუსტე ხომ საერთო სახალხო მოვლენაა.

ჩვენში მიუხედავათ იმისა, რომ დაჯილდოვებული ვართ ბუნების სიუხვით, არ მოგვეპოვება ჯერ კლინიკები, სანატორიები და თითქმის ბუნების სამკურნალო ადგილები გამოუყენებელია. უყურადღებოთ არის მიტოვებული.

ზაფხულობით ხალხის მასიური დახიზნვა ბაკურიანის ხეობებში, თეთრ-მთას, დუშეთსა, თუშეთს და ბახმარო-გომის მთებში ბუნებრივი შედეგია ძალზე განვითარებულ ავათმყოფობისა და ხალხი მთებს ახიზნებს თავს, რომ ჯანმრთელობა აღიდგინოს.

ჩვენში სხვა და სხვა დარგის მეცნიერება, გეოგნოზია-გეოლოგია, ასტრონომია ხიმია ლიტერატურაში არ არის გადმოტანილი, არ არის შესწავლილი მკითხველთა უმრავლესობისათვის, და ეს ნაკლი თანამედროვე დემოკრატიის მკითხველებს ხელ უშლის გარკვეული იყოს და ამიტომ აიხსნება, რომ ჩვენ არ გვაქვს შესწავლილი ის, რაც ევროპამ იცის ჩვენი ქვეყნის შესახებ და ჩვენ კი არა.

ჩვენი ქვეყანა თავისი მორთულობით, ბუნების ორგანიული თვისებებით სხვა და სხვა ნაირია და მისი შესწავლა კი აუცილებელი.

ევროპის სამედიცინო მეცნიერებაში მეტს შეხვდებით საქართველოს კურორტების შესახებ და იქ იციან აქაური კურორტების მაღალი ხარისხი, მისი სარგებლობა და ამიტომაც აბასთუმანი ცნობილია ევროპაში, რუსეთში და ჩვენში არა.

კოვალევსკი სწერს: „როდესაც აბასთუმანი წარმოადგენს ძვირფას განძს, როდესაც ის დაფასებულია სპეციალისტებიაგან, რატომ მაინც ცოტა იციან აბასთუმანის შესახებ?

ყველა უბრალო კურორტებზე სწერენ და, აბასთუმანის შესახებ კი არაფერს. ხანდისხან დროგამოშვებით სპეციალისტებისაგან თუ მოგვევლინება სამედიცინო სტატიები, მაგრამ ესეც ბევრს არ ნიშნავს ჩვენებისათვის“.

აბასთუმანი კი ჰავისა, ზამთარ ზაფხულისა, დედა-მიწისა, სიხბო-სიცივის, მთა-ხეობების, ველ ტყეთა, მდინარე-წყლებით შეზავებული, გაპობიერებული ნიადაგია ადამიანის გასაცოცხლებლათ.

აბასთუმანი ყველა ქვეყნის კურორტებიდან განსხვავებულია, განსაკუთრებულია. ერთი სიტყვით აბასთუმანის ბუნება თავისებურია.

აბასთუმანის შესახებ იგივე კოვალევსკი სწერს: „ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი აბასთუმანისათვის სეზონია.

ძნელია სათქმელათ რომელი სჯობია: ზამთარში აბასთუმანში სითბოა, სიწყნარეა, ნათელი დღეებია, რომლის მგზავსი დედამიწის ზურგზე არ არის“.

აბასთუმანში თავისი არა ჩვეულებრივი დღით და ღამით მაღლა სდგას ყველა კურორტებზე.

„წელიწადში ექ. კადკინის გამორკვევით 120 სრულიად მოწმენდილი დღე და ღამეა, ზამთარში 34, გაზაფხულში 16, ზაფხულში 29, შემოდგომაზე 41.

ამ რიგათ აბასთუმანი სდგას პირველ ხარისხოვან კურორტების რიგში და აბასთუმანს აქვს უპირატესობა ალპის მთების მსოფლიო კურორტებზე; პლატენზე, დავოსზე, ლიუზენზე და სხვებზე“.

გაზაფხული აბასთუმანში უფრო ლრუბლებიანია, მოწყენილია და დალვრემილია. ამ დროს შედარებით ჰავაც გამოცვლილია და ხეობა უფრო მრეხსანეთ გამოიყურება. მზე დრო გამოშვებით გააპობს ლრუბლების ქსელს და გადმოხედავს არე მარეს.

ზაფხული ხავერდოვანი ფერადებით ამოწვანებულია, უფრო ნათელი დღეებია, ტყეც სასიამოვნოა, ხეობა ფიჭვ-ნაძვნართა სურნელოვანი სუნით დამტკბარია... ბუნება მიმზიდველია, ხალისიანია, ალერსიანია, პირ მოჭუშული ხეობათა თავყრილობა მომღიმარია. ირგვლივ გადაწოლილი გორები ტყით გავერანებული, დაფარულია. დილას მით ზეკარის, ბესარდის მწვერვალები მოწმენდილია და ნაშუადღევს ნისლით გათალხულია.

შემოდგომა მოწმენდილია ირგვლივ თოვლით შემოსილია, დამარკბობელი მზის სიცხოვილით შეზავებულია, მთის გრილი ნიავით. ფიჭვ-ნაძვნართა სუნით მიტათ მოჭუფულია... კლდეებიდან, მინერალურ წყლების ბასეინებიდან ორთქლით დამშვენებულია...

ზამთარი თოვლიანია. ღამე ცივია, დღე მზის სხივებით გამობარია... ხან მოწმენდილი დღე და ღამეებია, ხან ცა პირ მოორულებულია, თოვლის ფანტელი ეფინება ხეებს, მაგრამ ზამთარი არა ჩვეულებრივია, სასიამოვნოა, ხეობა გათეთრებულია, ტყეები გაჭაღარავებულია, ნაძვების ტოტები თავ-დახრილია. დღე მზიანი, ცხოველია...

ზამთრის შუადღე უკნაურია. თოვლით დაფენილი, ხეობა ზამთრის სუსხ სიცივეს მოკლებულია, მარტის ცხელ მზიან დღესავით გაცხოველებულია.

ავათმყოფები გარეთ, ღია ცის ქვეშ წამოწოლილან, მათი ფილტვები ღებულობენ მზის მიერ გამთბარ ჰავას, სიცივე-სითბოთ შეზავებულს.

გაზაფხულის საღამო ნიავიანა, ხეობა აღელვებულია, „აბასთუმანკა“ ბაგიჟებულია, ცის ჰორიზონტი მოხეტიალე ლრუბლებით დაფარულია...

ზაფხულის დილა უზენაესი ბუნების ლაღი სანახაობაა. ბუნების ტკბილი მაცოცხლებელი სიმღერაა.

ტყე ილვიძებს, ჩიტუნები გალობენ შეწყობილათ, მთის კალთები, ხეობის ლამაზი გორაკები ცვარით იმოსება.

„აბასთუმანკა“ შეერის...

მზე ტრფობით გორაკების მწვერვალს ეფინება, ხეობას სხივებს აფრქვევს...

ავადმყოფი უნდა იდგეს, უნდა ისმენდეს, უნდა ღებულობდეს დილის თავგზიანობას და ყურს უნდა უგდებდეს—დილის ბუნების საედუმლო ჰარმონიას...

შემოდგომის ღამე პოეტურია... ბუნების საიდუმლოებანი მყუდროებით მოცულია, ცის ტაძარი მოწმენდილია, ცა ვარსკვლავებით შემოსილია... ხეობა დამშვიდებულია, „აბასთუმანკა“ დალონებულათ მიდუდუნებს... ქვის ნატეხებზე ეხეთქება და ბრძოლაშია...

ირგვლივ მყუდროებაა.. თავს მწვერვალები დაკუურებენ... ტყე უდაბნოს მოგაგონებს.., ტყიდან ამოვარდნილი სუნი გულს ანახლებს.. ღამის მეჯილისი შორს ფანტასტიურ მორევში მიგაქანებს... ნაზი მთვარე კი დასავლეთით მიცურიალებს...

გაოცებული ექ. სკოროვი აბასთუმანის ღამის დამსწრე ამ ოცდა ათი წლის წინეთ სწერდა: „ძნელი არის თავისთვისაც გამოხატო ის დიადი, მშვენიერი, დაწყნარებული, რბილი, ბალზამიური ყნოსვით, კვასურნელოვანი, სასიამოვნო მთვარით განათებული აბასთუმანის სანეტარო ღამეო“...

აბასთუმანი ჰავით განსხვავდება ყველა აგარაკებისაგან. აბასთუმანში ჰავის ზომიერება დაცულია, იგი არც გადაჭარბებულია, არც მიუღებელია.

„წლის საშუალო ტემპერატურა ცელსის საზომით +6,3°, ზამთრის—4,6°, გაზაფხულის +5,7°, ზაფხულის+16,7°, შემოდგომის+7,4°.

ზამთრობით იანვარში ღამე და დილას არის სიცივე, შუადღის 1 საათზე ტერმომეტრი დადის—2° C.

აბასთუმანის მიწა, ნიადაგი, სილიანია, ქვიანია. ნოტიოს არ იკარებს. ტალახი და მტვერი არ იცის. წვიმის შემდეგ რამოდენიმე წუთში დედა-მიწა გაშრება.

„ზამთრობით აბასთუმანი უფრო ნათელია, ვიდრე დავოსი. ზამთარი დავოსში უფრო დაბურულია ვიდრე აბასთუმანში.

თანახმათ გამორკვევისა, აბასთუმანის ჰაერს, ჰავასთან ერთად აქვს მეტი ინტესიური გავლენა ადამიანზე და ნაყოფიერი ვიდრე დავოსს. თფილი ჰაერი, დაწყნარებული, უქაროთ.

საშუალო მზიანი ნათელი დღეები ზამთრის თვეებში უთანასწორდება 3,3 საათს; დღე ცივი დროსი—ნოემბრის—მარტის—3,7 საათს. ამ მხრით აბასთუმანი არას დროს არ დაუთმობს ადგილს დავოს, სადაც ინსოლიაცია საშუალო ზამთრის თვეებში უთანასწორდება—3,4 საათ., ნოემბერ-მარტში—3,6 საათს.

აბასთუმანში დიდი დღე ადის 15 საათს, 9 წუთს 24 წამს. უმოკლესი დღე არის 9 საათი 4 წუთი, 36 წამი.

ზამთრობით მზე ჰორიზონტზე ნახევარ საათით მეტ ხანს რჩება ვიდრე დავოსში“.

კადკინის გამორკვევით, რომლითაც კოვალევსკი სარგებლობს აბასთუმანის ტემპერატურა მთელ დროს შემდეგია:

საშუალო ტემპერატურა.

| | |
|---|---|
| **ზაფხულში:** | |
| დილით | +11,9° C. |
| შუადღეზე | +21,5° C. |
| საღამოზე | +14,1° C. |
| **შემოდგომაზე:** | |
| დილით | +3,4° C. |
| შუადღეზე | +14,6° C. |
| საღამოს | +6,4° C. |
| **ზამთარში:** | |
| დილით | —7,9° C. |
| შუადღეზე | +1,7° C. |
| საღამოს | —4,9° C. |
| **გაზაფხულში:** | |
| დილით | +1,8° C. |
| შუადღეზე | +11,4° C. |
| საღამოს | —4,9° C. |
| **გაზაფხულში:** | |
| დილით | +1,8° |
| შუადღეზე | +11,4° |
| საღამოს | +4,1° |

ვადარებთ, რა აბასთუმანის ტემპერატურას სხვა ევროპის აგარაკებს, ჩვენ ვხედავთ, რომ აბასთუმანი უახლოვდება დავოს, პლატენს, ლიუზენს.

აქედან აბასთუმანის ზომიერებით განსაზღვრული ტემპერატურა ბევრს ლაპარაკობს, იმის

შესახებ, რომ აბასთუმანი მუდმივი სამკურნალო ადგილია და იმ მთელ დროს მარგებელია.

„ბარომეტრული გამორკვევა კი შემდეგს გვიჩვენებს:

| | |
|---|---|
| ზამთარში: | |
| დილით | 657,9 |
| შუადღეზე | 656,8 |
| საღამოს | 657,6 |
| ზაფხულში: | |
| დილით | 655,2 |
| შუადღეზე | 653,3 |
| საღამოს | 655,1 |
| გაზაფხულში: | |
| დილით | 655,4 |
| შუადღეზე | 654,2 |
| საღამოს | 655,2 |
| შემოდგომაზე: | |
| დილით | 658,9 |
| შუადღეზე | 657,6 |
| საღამოს | 658,6 |

ამ გვარათ მეღებული ცნობები გვიჩვენებენ, რომ საშუალო განსხვავება დილის maximum-ს შორის უთანასწორდება აბასთუმანში 1,2 mm.; მხოლოდ შუადღისა minimnm სა და საღამოს maximum-სა 1,0 mm.; საშუალოთ განსხვავება დღის პერიოდულ maximum-ით ისეთივეა minimnm-ით დაახლოვებით უთანასწორდება 1,1 mm; ასეთი ბარომეტრულ უმნიშვნელო განსხვავებას დიდი ნნიშვნელობა აქვს გულით ავათმყოფებზე და განსაკუთრებით სასულე ორგანოების მოძრაობაზე და სხ.

აბასთუმანში ჰაერში სისველე ზომიერია, უდრის 75—90 პროც. თუ მხედველობაში მივიღებთ შუადღის დროს ხანდისხან ეცემა 45 პროცენტამდე. ასეთ დროს ღია ცის ქვეშ ავათმყოფობა ექიმთა აზრით ჩქარა შეიძლება იგრძნოს სიმშრალე.

ცხადია აბასთუმანი ხასიათდება თავისი უაღრესი თვისებებით, ნივთიერებით და ჩვენ გვიმტკიცებს ახლო წარსული მის ნაყოფიერ შედეგებს.

აბასთუმანის პოლიტიკურთა სანატორიაში 1917 წელს ნოემბერში-დეკემბერში 27 ჭლექით ავათმყოფიდან 6 მა—5-9 გირვანქამდე მოიმატა, 5 მა 7—11 გირვ. 1 მა 10—13 გირვაქამდე 4-მა 4—6 გირვანქამდე, მხოლოდ 2-მა 3—5 გირვანქამდე.

აქედან 17 ს რომოდენიმე თვის განმავლობაში გაუქრა ჭლექის ბაცილები (Kosm.) და გაჯანსაღდა, დანარჩენმა მოიხედა და დღესაც ცხოვრობენ.

იტალიას, საფრანგეთს, საბერძნეთს, მოეპოებათ ჭლექიანებისთვის საუკეთესო ადგილები.

იალტა, რიერი, სუხუმი ჭლექიანებისათვის თავშესაფარია, მაგრამ გერმერისდორფი, ლიესენი, არაზე, დავოსი გაცილებით მაღლა სდგას, როგორც მაღალი კლიმატიური სადგურებია, მაგრამ უპირატესობას აბასთუმანს აძლევენ: რუდოლფვირხოვი, კოვალევსკი, რემერტი, და სხვები.

აბასთუმანის მაღალი და ძვირფასი თვისებების განვითარებაში დიდ როლს თამაშობს შემდეგი გარემოება; აბასთუმანი ირგვლივ ალყა შემორტყმულია მთებით და მას გარეშე ქარი არ ეშვის.

მართალია ქარის შესახებ ერთი აზრი არ არის.

ზოგიერთები ამტკიცებდენ აბასთუმანში დასავლეთის და ჩრდილოეთის ქარმა იცის შემოჭრა და აბასთუმანის ადგილობრივი ქარი არავითარ როლს არ თამაშობსო.

კადეკინის აზრით „გაბატონებულ ქართა რიცხვში აბასთუმანის სტუმარია ჩრდილოეთ-სამხრეთის ძლიერი ქარიო.“

გამოკვლევამ კი წინაალმდეგი დაამტკიცა

ცნობილია, რომ ევროპაში და რუსეთში გაბატონებულია დასავლეთის ქარი. ამ მხრით ამიერ-კავკასიის დიდი ნაწილიც არ არის დაზღვეული.

აბასთუმანი კი გამონაკლისს შეადგენს, თუმცა მის ახლოს მდებარე კურცხანის ხეობა ამ მხრით უზრუნველ-ყოფილი არ არის.

ხანგრძლივი დაკვირვება და გამოკვლევა აბასთუმანის ქარის შესახებს ჩვენ გვიმტკიცებს, რომ აბასთუმანის ხეობაში გარეშე ქარი არ არსებობს, არსებობს ადგილობრივი ქარი, ბრიზი (Brig), რომელიც ვითარდება ზეკარის უღელტეხილიდან ახალციხის პლატომდე და ახალციხის პლატოდან-უღელტეხილამდე.

ადგილობრივი ქარი სპეციალისტების აზრით დილით მზის ამოსვლიდან ისახება ჰაერის დაწმენდით ახალციხის პლატოდან ხეობით (ვენტილიაცია) და განვითარებული ბრიზი შუადღემდის მიდის ზევით ზეკარის მწვერვალისაკენ. შუადღისას მწვერვალებიდან უკან მოდის პლატომდე.

ამიტომაც არის, რომ აბასთუმნის ხეობა შუადღემდე დაწყნარებულია, მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათიდან შენიშნულია ყოველ დღიურათ ჰქრის და უბერავს-მეტ ნაკლებად.

„აღსანიშნავია, რომ აბასთუმანის ქარის სიჩქარე 90 მეტრში გამოიხატება.

12 წლის განმავლობაში აბასთუმანს 29 ჯერ ახსოვს ძლიერი ქარი, დანარჩენ დროს აბასთუმანი თითქმის უქაროთ ჩაითვლება. ამ მხრითაც აბასთუმანს მეტი თვისებები აქვს, ვიდრე ალპის მთების კლიმატიურ სადგურებს დავოს, ლიუზენს, არიაზეს და სხვებს. *)

აბასთუმანში, მიხვეულ-მოხვეულ ხეობის, ზღვის კუმებივით გადახლართულ გორების გამო ადგილობრივი ქარი ბრიზი ყოველ დროს ძალას ჰკარგავს და ეს მოვლენაც აბასთუმანის ბუნებრივ თვისების მაღლა ამწევია და ავათმყოფთათვის დიდათ სასარგებლო.

ასეთია მოკლეთ აბასთუმანის ორგანიული ბუნების თვისებები.

აბასთუმანი ყოველმხრივ დაჯილდოებულია.

იგი ბუნების ზომიერების შეთანხმებული ორგანიზმია. წელიწადის ყოველივე დრო ხასიათდება ზომიერი ჰავით, სითბოთი, მზით, სიწყნარით, ქიმიური მოვლენების სწორი მიმდინარეობით... დედამიწის, ჰაერის, მცენარეულობის საერთო შეთვისებით.

აბასთუმანი ამიტომ დააყენეს მაღლა და იგი ცხოვრების წარმართულ პირობებისაგან დასჯილთა მშობელია, მაცოცხლებელია, სნეულთა სატრფიალო ბაღნარია ია ვარდით მოფენილი...

(გაგრძელება იქნება)

**ან. სალუქვაძე.**

# პრაქტიკული იურიდიული კურსების დაარსება ტფილისის უნივერსიტეტთან

ყველა სახელმწიფო დაწესებულებას სჭირდება თეორიულად განათლებული სპეციალისტები და პრაქტიკულად დახელოვნებული ინტელიგენცია, რომლის მეოხებით შესაძლებელია ამუშავება სახელმწიფოს მექანიზმისა.

ჩვენი სახელმწიფოს ყველა დაწესებულებების მთავარ მოვალეობას შეადგენს ასეთ ინტელიგენტთა ძალის დარაზმვა, სპეციალურად შემზადება და მათი თეორიული ცოდნით აღჭურვა.

სახელმწიფოს აღშენების დროს საკმარისად არ მოგვეპოვება ექიმი, იურისტი, მეურნე, ინჟენერი. ამ მხრივ უფრო საშიშია მდგომარეობა სასამართლოსი, სადაც მართლ-მსაჯულება ღირსეულ საფეხურზე არა სდგას, იქ კანონი, მოქალაქეთა შორის მშვიდობიან ურთიერთობას ვერ ჩამოაგდებს, სადაც იგი უძლურებას იჩენს იქ ის არც არსებობს და სადაც იგი არ არის, იქ არც სახელმწიფოა.

ასეთია კანონის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი დანიშნულება და ასეთია მნიშვნელობა სამართლისა სახელმწიფოსთვის.

ახლა საჭიროა მოკლეთ განვიხილოთ თუ რა ძალით შეხვდა ჩვენი სასამართლო საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს აშენების დროს და რა უნდა ვიზრუნოთ მისთვის, რომ ასეთი უკიდურესი მდგომარეობა თავიდან ავიცილოთ და სახელმწიფოს ღირსეული სამართალი მოუწყოთ.

ძველი რეჟიმის დროს, არც ერთ დაწესებულებაში ისე არ ყოფილა ქართველობა დევნილი, როგორც ეს ხდებოდა სასამართლოს უწყებაში.

საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს გამოცხადების დროს, ჩვენი სასამართლო შეხვდა სულ მცირე რიცხოვან ქართველ მოსამართლეთა, პროკურორთა და ვექილთა რიცხვით. ქართულ სასამართლოს ძალებს შეადგენენ მხოლოდ 45—50 გამოცდილი, დახელოვნებული იურისტი.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ, დღეს, მაზრებში მომრიგებელ მოსამართლეებსაც ვერ შოულობენ და სასამართლო პრაქტიკა დაშორებულ პირთა ხელშია; ამით აიხსნება ის გარემოება, რომ დღეს სასამართლოს ვერ უპოვნია ღირსეული წევრები როგორც საპროკურორო ნაწილისთვის და საქმის წინასწარ გამოძიებისათვის, ისე ოლქის სასამართლო წევრის თანამდებობაზე.

სასამართლოს არა ჰყავს საკმარისი ძალები, რომ მას წინამძღოლობა გაუწიონ და ღირსეული სამართალი მოაწყოს და არც თუ იმის იმედი სჩანს, რომ ახლო მომავალში გამოგვეზდებიან თეორიულად მომზადებული ახალგაზდა იურისტები და მათით შევიძლებთ ჩვენი დანაკლისის შევსებას; თუმცა, მართალია, გვყავს საშუალო სასწავლებლებში ახლად კურს დამთავრებული ახალგაზრდობა, რომელთა შორის, ეჭვს გარეშეა, რომ იურიდიულ მეცნიერების შესწავლის მოსურნენი იქნებიან, გვყავს აგრეთვე, რუსეთის უნივერსიტეტებში სწავლის შეწყვეტის გამო, გარეშე დარჩენილი და გამოურკვეველი გზით მოსიარულე, იურიდიულ ნაწილის ყველა ოთხივ კურსის ახალგაზრდა სტუდენტობა, მაგრამ ყველას ამათ სჭირიათ სწავლის დამთავრება და ნამდვილ იურისტებად გარდაქმნა.

მუდამ, კერძო ლაპარაკში გაიგონებთ ამ გვარ სტუდენტისგან სამდურავს თავის სამშობლოს წინამძღოლებისადმი, რომ ამოდენა ახალი თაობა უგზო-უკვლოდ დაიარება და მთავრობა კი მისთვის არაფერს ზრუნავს; არავინ გამოჩნდა მათთვის ისეთი გულშემატკივარი, რომ თავს იდოს ეს თუმცა მძიმე, მაგრამ ფრიად სასარგებლო საქმის მოწყობა.

დღეს კი ქართულმა იურიდიულმა საზოგადოებამ, მიიღო რა მხედველობაში, როგორც თვით ახალგაზრდა სტუდენტების მდგომარეობა, აგრეთვე ისიც, რომ ქართულ სასამართლოს იურიდიულ მეცნიერებით აღჭურვილი ძალები საკმარისად არ მოეპოვება და არც იმედია, რომ ახლო მომავალში იგი რითიმე შეივსოს თუ რაიმე საშუალებას არ ვიხმართ, განიზრახა ქართულ სასამართლოსთვის დახელოვნებულ პრაქტიკ იურისტების მოსამზადებლად და ქართულ იურიდიულ მეცნიერების შესასწავლად ტფილისის უნივერსიტეტთან პრაქტიკულ იურიდიულ კურსების დაარსება. საზოგადოების საბჭო უნივერსიტეტის რექტორს წინადადებით მიჰმართავს, რათა მთავრობის წინაშე აღძრას შუამდგომლობა ამ გვარ კურსების ოფიციალურად დაარსების შესახებ.

უეჭველია, როგორც მთავრობა, ისე მეელი საზოგადოება მხურვალე თანაგრძნობით შეხვდება ასეთ ფრიად სასარგებლო საქმეს და ყოველ მხრივ ხელს შეუწყობს მის ახლო მომავალში განხორციელებას.

**გიგი შალიბაშვილი.**

# ბათუმი

ქალაქში ცხოვრება სდუღს. ყოველ დღე მოდის გემები დიდ ძალი საქონლით. დამყარებულია პირდაპირი მიმოსვლა. მიუხედავად იმისა, რომ ქარაქში დიდძალი საქონელია, ფასები ყველაფერზე მაღალია. ქალაქში წარმოუდგენლად გამრავლდა ქალალდის სათამაშო სახლები, რომლებიც აშკარად მოქმედებენ. ყოველ ყავახანაში მოწყობილია ლოტო და სხვა სათამაშო, რაშიაც დიდ მოგებას იღებენ, რასაც გადასახადებს არავინ აწერს.

ინგლისელების მიერ მიღებულ მკაცრი ზომების წყალობით ქურდობა და ძარცვა-გლეჯა ქალაქში შესწყდა. 12 საათის შემდეგ ქალაქში სიარული აკრძალულია.

ბათუმის ნავთის წარმოების მეპატრონეებს მუშებმა წარუდგინეს შემდეგი მოთხოვნილებანი: 1) 8 საათის სამუშაო დღის შემოღება, 2) ხელფასის გადიდება 100%-ით და 3) ზედმეტი საათების სამუშაოზე ჯილდოს მიცემა. პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ კანონიერად სცნო ეს მოთხოვნილებანი და დამტკიცა.

# უცხოეთში

(საქართველოს დეპ. საადგენტო)

**მოსკოვი**, ენკენისთვის 28. ც. ა. ბ. ბ. ბ. ბიულეტენი.

სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა ოქტომბრის რევოლიუციის ორი წლის თავის აღსანიშნავად დღესასწაულის კარგად ჩასატარებლად შეადგინოს ცენტრალური კომისია ამხანაგ კამენევის, ლუნაჩარსკის, ნევსკის, მალკინის და კასროვის მონაწილეობით და დაევალოს მათ დაუყონებლივ დაიწყონ მუშაობა, ამ კომისიას გადაეცემა ნ0 მილიონი მანეთი.

**ნაუენი.** ენკ. 27. გერმანიის მთავრობასა და დემოკრატიულ პარტიის შორის მოლაპარაკება უკანასკნელთა მთავრობაში შესვლის შესახებ განსაზღვრულ შეთანხმებით დასრულდა. დემოკრატები აცხადებენ, რომ მათ იმდენი პორტფელი უნდა მიიღონ, რამდენიც მთავრობიდან გამოსვლამდე ჰქონდათ.

**ლონდონი**, ენკ. 29. „დეილი-ნიუსი“ იუწყება: ლოიდ ჯორჯი ფიქრობდა ინგლისის მთავრობის გადაწყვეტილება რუსეთიდან ინგლისის ჯარის გამოყვანის შესახებ უმაღლეს საბჭოსთვის გადაეცა განსახილველად, თუმცა არსებითად ეს საკითხი მხოლოდ ინგლისის მთავრობაზეა დამოკიდებული, რადგან მთელი ხარჯები რუსეთში სამხედრო მოქმედებისაგან გამოწვეული მხოლოდ ინგლისმა გადაიხადა. პარიზული გაზეთი „დეილი ჰერალდი“ იუწყება, რომ ლოიდ ჯორჯმა აცნობა უმაღლეს საბჭოს ინგლისის ჯარის რუსეთიდან გაყვანა, მაგრამ რადგან ეს ხდომის დასასრულს ეხება, როდესაც საბჭოს წევრები უკვე იშლებოდნენ, ამიტომ ამ საკითხზე არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღიათ. ამერიკის რწმუნებულებმა კამათს არავითარი ყურადღება არ მიაქციეს.

**ჰელსინგფორსი**, ენკ. 18. ფრიდრიხის მთავრობა ჟანდარმთა ახალი კორპუსს შეადგენს. როგორც კი ეს კორპუსი შესდგება რუმინის ჯარი ბუდაპეშტს დასტოვებს.

**ნაუენი**, ენკ. 26. სამხრეთ სლავიანთა ბეჭდვითი ბიურო იუწყება, რომ სამხრეთ-სლავიანების რაზმმა იტალიელების მიერ დაჭერილ ქალაქ ტრუსკენ შეტევა დაიწყო. ქალაქის მცხოვრებლები შეიარაღდენ იტალიელების წინააღმდეგ. იტალიელებმა ქალაქი დასტოვეს. სამხრეთ სლავიანებმა ტყვეები წამოიყვანეს და ნაპირზე გადმოსულ ამერიკელებს გადასცეს. ამერიკელებმა ქალაქში სამხრეთ სლავიანების რაზმს გადასცეს, თვითონ კი იტალიელების დევნა განაგრძეს.

**ლიონი**, ენკ. 47. „მატენ“-ი სწერს, რომ თუ იმ გვარი ფაქტები, როგორც ფიუმეს ხელში ჩაგდებაა, კიდევ გამეორდება, მაშინ საზავო კონფერენციას დარჩა მხოლოდ ის, რომ დაიშალოს.

**ჰელსინგფორსი**, ენკ. 18. „ფოსიშე ცეიტუნგ“-ი იუწყება, რომ პარიზში მოსული ცნობით, დიდი ჯმთავარი მიხეილ რომანოვი, პერმიდან გაიქცა და ეხლა კოლჩაკის მთავარ ბანაკში იმყოფება.

**ველიკიე ლუკი**, ენკ. 21., „ნოვოე რიჟსკოე სლოვო“ იუწყება, რომ მიუნქენში ისევ გამოცხადდა საალყო წესები. ქუჩებში დადგმულია ტყვიისმფრქვეველები. ტიანსვალიდან იუწყებიან, რომ იქაურმა ადგილობრივმა 50,000 მცხოვრებმა განაცხადა, რომ კანონებს არ დაემორჩილებიან სანამ მათ უფლებით თეთრებს არ გაუთანასწორებენ.

**ველიკიე ლუკი**, ენკ. 21. ლატიშთა გაზეთი „ლატვიას სარგემ“-ი იუწყება, რომ ფინეთის, ესტონიის, ლატვიის და ლიტვის სოციალ-დემოკრატების დახურულ თათბირზე რიგაში ყველა ორატორებმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ აუცილებელია ბალშევიკებთან ზავი, რათა შესაძლებელი გახდეს რეაქციასთან ბრძოლა.

**ბელიოსტროვი**, ენკ. 24. ფინური გაზეთი „უსი-ხუონი“—სვამს საკითხს, მოკავშირეებსა და საბჭოთა რუსეთის შორის უნდა იქნეს თუ არა? გაზეთი ფიქრობს, რომ ეხლანდელი მდგომარეობა დიდხანს ვერ გაგრძელდება და მოკავშირე სახელმწიფოები ან უნდა დაუბრუნდნენ ძველ პოლიტიკას ან უნდა აღიარონ უკანასკნელი და დაიწყოს მასთან ნორმალური დიპლომატიური დამოკიდებულება. შეერთებული შტატები თავიდანვე უგულოდ იღებდენ მონაწილეობას მოკავშირეთა აგრესიულ პოლიტიკაში რუსეთის წინააღმდეგ. ციმბირის ჩარევაში მონაწილეობის მიზანი იყო თავის ინტერესების თვალ ყურის დევნა. თუ ვინიცობაა ის პოლიტიკა გაიმარჯვებს შეერთებული შტატები საბჭოთა რუსეთთან

*) იხ „Аб. какъ кур. и дачное мѣсто“.

ნორმალურ დამოკიდებულების აღდგენის წინააღმდეგი არ იქნეიანენ. უფრო ძნელი გამოსარკვევია იაპონიის პოზიცია. მოკავშირეების და საბჭოთა რუსეთის შორის ნორმალური დამოკიდებულების აღდგენა გაზეთებს აუცილებლობლად მიაჩნიათ.

**მოსკოვი,** ენკ. 27. იშიმიის რკ. გზის მიმართულებით ჩვენ მტერს ვავიწროვებთ. ხელში ჩავიგდეთ 800 ტყვე, მრავალი ტყვიის მფრქვეველი და სხვა მრავალი ქონება. მდ. ვაგაიზე ჩვენი ჯარი მდ. აშლიკისკენ იხევს. ტობოლის რაიონში ჩვენმა ჯარმა უკან დაიხია.

**მოსკოვი,** ენკ. 27. თეთრგვარდიელები ფიქრობენ, რომ საბჭოთა მთავრობას შეარყევენ. მაგრამ უნდა მათ იცოდნენ და ყველამ ეს იცოდეს, რომ პროლეტარულ რევოლიუციას ყუმბარებით და ხიშტებით ვერ შეაჩერებენ. ცხარე სიტყვა წარმოსთქვა ქუმა თეთრების თავდასხმის შესახებ. მან სთქვა, თეთრ გვარდიელთა შეთქმულების აღმოჩენით, ჩვენ მათ მოვაჭერით თავი; მაგრამ სულ არ გაგვინადგურებია ეს საშინელებაო. 26 ენკენისთვეს მათ უნდოდათ ჩვენი ამხანაგების განადგურება. 26 ენკენისთვეს გაიხსნა მოსკოვის გუბერნიის პირველი ყრილობა. ყრილობამ გადასწყვიტა რ. კ. პარტიას ც. კომიტეტს მისალმება, დაღუპულთა ოჯახებს თანაგრძნობა გაუგზავნოს.

მთელ ინგლისში მთავრობა ამცირებს საყურსათო ულუფას და მცხოვრებლებს ართმევს ავტომობილებს და კარეტებს.

საფრანგეთის უმნიშნელოვანეს ნავთსადგურის მარსელის გემთა საალმშენებლო ქარხნის ყველა მუშები გაიფიცნენ.

ბერლინში 24,000 მუშამ კიდევ შესწყიტა მუშაობა. ქარხანებში სრულიად შესწყდა მუშაობა.

ვარშავის გაზეთებში იუწყებიან, რომ ვარშავაში შრომის სამინისტროს წინ თავი მოიყარა უმუშევართა ბრბომ, რომელიც სამუშაოს მიცემას მოითხოვდა. რაკი პასუხი არ მიიღო, ბრბო სამინისტროში შეიჭრა. გამოიწვიეს პოლიციელთა რაზმი, რომელმაც კონდახებით და მათრახებით გაფანტა ბრბო. უნგრეთში თეთრი ტერორი მძვინვარებს. ახლად შემდგარი პოლიცია კომუნისტებთან ბრძოლის საბაბით მთავრობის ყველა მოწინააღმდეგეს მკაცრად სდევნის. თეთრი გვარდიის შესადგენად მთავრობა მილიონებს ხარჯავს.

ბელგიის მთავრობამ ბელგიის მოსაზღვრეს გერმანულ ოლქების მცხოვრებთ განუცხადა, რომ ამ ოლქების ბელგიასთან შეერთების საკითხის გადასაწყვეტად ხმის მიცემა ბელგიელ მოხელეთა ზედამხედველობით მოხდება. თუ ამ ოლქების გერმანიის ფარგლებში დატოვების მომხრე ბევრი აღმოჩნდა, მაშინ დაპატიმრებები მოხდება გერმანიის მომხრეთა შორის.

მოსკოვში მყოფ დენიკინის აგენტებისთვის აღმოჩენილ საბუთებში არის კადეტი ასტროვის წერილი, რომელშიაც სხვათა შორის შემდეგი სწერია ამ გაზაფხულზე საფრანგეთის ჯარის მიერ ოდესის დატოვების შესახებ: „ფრანგის გენერლები, რომლებმაც ჩვენ მიგვატოვეს, თავის გასამართლებლად ამბობენ: ჩვენ ხალხს უნდა გავუფრთხილდეთ. თქვენი (რუსის თეთრ გვარდიელების) ხალხი ყავახანებში სხედან, იმის მაგიერ, რომ იბრძოლოს. თქვენ მოკლებული ხართ მამულიშვილურ გრძნობას და ქვეყნის მართველობის უნარს, ჩვენ კი შეგვიძლია ბოლშევიკებთან მორიგება. იგივე კადეტები აღდგომის დღეებში მოსკოვში მყოფ მათ თანამოაზრეებს სწერდნენ, რომ ინგლისელები ყველაფერს აწვდიან დენიკინის არმიას.

ნელ-ნელა დენიკინის არმია ინგლისური ტანისამოსს იცვამს. ამ გაზაფხულზე თავის შეტევის დაწყების წინ დენიკინმა ინგლისიდან მიიღო ტყვიები და ტანისამოსი. მაგრამ ეხლა, როდესაც ინგლისის მუშებმა გადაწყვეტილი ბრძოლა გამოუცხადეს თავის მთავრობას და როდესაც მთელ ინგლისში უკვე დაიწყო რკინის გზელთა გაფიცვა, ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყვნეთ, რომ შემდეგში დენიკი ვეღარ მიიღებს ვერავითარ დახმარებას. თუმცა ინგლისელთა ტანკების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე ჩვენ ხელშია.

ესტონიის მთავრობა გადამწყვეტ ზომებს ღებულობს ჩრდილო დასავლეთის ლიანოზოვის რუსულ მთავრობის ძალმედების წინააღმდეგ ესტონიის მიწა-წყალზე. მოსალოდნელია, რუსის თეთრ-გვარდიელებს საბოლოოდ მოსახოვონ ესტონიის დაცლა.

**სარატოვი,** ენკ. 2. № ორსკის რაიონში ჯარში გაწვეულმა მუშებმა და გლეხებმა იარაღით ხელში გენ. დუტოვის წინააღმდეგ გაილაშქრეს. მათ დასახშვიდებლად გაგზავნეს, საყარაულო იარაღი აჰყარეს. ამის შემდეგ მათ დასამშვიდებლათ ორენბურგის ყაზახები გაგზავნეს. მოხდა ნამდვილი ბრძოლა, აჯანყება წარმოუდგენელ სიმკაცრით ჩააქრეს.

**გომელი,** ენკ. 24. პოლტავის მოხალისეთა გაზ. „გოლოს იუგა“-ს ცნობით კიევში ხალხმა ქუჩებში დაგლიჯა „კიევსკაია მისლ“-ის რედაქტორი, კიევის მეხშვიკების ბელადი ბალაბანო. იგივე გაზეთი იუწყება, რომ რამდენიმე ასი კაცისაგან შემდგარი შეიარაღებული ბრბო თავს დაესხა მოხალისეთა არმიის მთავარ სარდლის გენ. მაიმაევსკის მატარებელს. თავდამსხმელები ტყვიის მფრქვეველებს და თოფებს ისროდეს. მატარებლის ყარაულმა თავდასხმა მოიგერია.

# მილიციაში

სექტემბრის 5 ს მათე ღლონტმა განუცხადა სისხლის სამართლის მილიციას, რომ მას დარჩა ეტლში პორტფელი ქალაქდებით.

სექტემბრის 26 ს მილიციის მოსამსახურეებმა აღმოაჩინეს პორტფელი № 4 ეტლის პატრონთან და დაუბრუნეს ღლონტს.

—

რუსთაველის ქუჩაზე № 29 მცხოვრებ ნინა ივანეს ასულ ეზიდიანძა შემთხვევით თვალი მოჰკრა იატაკის ქვეშ დამაღლულ ორ ვინტოვკას, რის შესახებაც მაშინვე აცნობა სახლის პატრონ მოვსესა ქარელს, უკანასკნელმა კი სისხლის სამართლის მილიციას შეატყობინა. ერთი ვინტოვკა № 606,463, მეორე № 23959. ამ იარაღის პატრონი ჯერ არ აღმოუჩენიათ.

—

სისხლის სამართლის მილიციის უფროსის განკარგულების თანახმად, მილიციის მოსამსახურეთა მიერ სექტემბრის 27 ს დაჭერილია სამაზრო სამმართველოს მილიციონერი ილია რუსია, რომელმაც მოაწყო კოჯორის გზაზე ფოსტაზე თავდასხმა ამა წლის სექტემბრის 16 ს და გაიტაცა 59000 მან. ამასთანავე მოკლულ იქნა შოფერი, დაიჭრა ფოსტალიონი და ერთი მგზავრი. დასახელებული რუსია და აგრეთვე ორი მისი ამხანაგი სახალხო გვარდიელების მიერ დაჭერილი დატფილისში ჩამოყვანილი, ვლადიმერ ანდღულაძე და სანდრო სალუქვაძე, გამოტყდენ ჩადენილ ბოროტმოქმედებაში. თავდასხმა მოახდინა 7 კაცმა. ზემოდასახელებულ სამმა კაცმა, 17 სექტემბერს დაჭერილმა ისიდორე რუსიამ, ილია რუსიას ბიძაშვილმა, რომელიც საგუბერნიო ბათალიონში იყო ტფილისში, სამაზრო სამართველოს მილიციონერმა გალაქტიონ მოწონელიძემ და ორმა ფოშტის მხლეელებმა კეშელავამ და მეგრელიძემ. სამი უკანასკნელი მიიმალა.

—

სისხლ. სამ. მილიც. აღმოაჩინა ალექსი ხაგმუტოვის ბინაზე ცხენი, რომელიც მას მოუპარავს მატ. ოს პეტროსოვისთვის. საქმე საგამომძიებლო ნაწილს გადადაეცა.

—

16 სექტემბერს სისხლ. სამ. მილიციამ დაპატიმრა იასონ ტუტარაული და გიორგი კოზიშვილი (ლომბარდის მოსამსახურეები) რომელთაც ბრალდებოდათ ლომბარდიდან ორი ხალიჩის მოპარვა. ტუტარაულმა განაცხადა, რომ ხალიჩები მან წაიღო და კოზიაშვილს გადასცა გასაყიდათ, მარამ უკანასკნელი უარს ამბობს ამაზე. ორივე დატუსაღებული არიან ადმინისტრატიული წესით. პირველი 3 თვით, მეორე $1^1/_2$ თვით.

# სხვა და სხვა.

✦ გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება სოფელ ანაგაში სიღნაღის მაზრა.

ფოსტის და ტელეგრაფის კორესპონდენციის გაცვლა გამოცვლა ხდება სიღნაღის კანტორასთან.

✦ იბეჭდება და მალე გამოვა საქართველოს ტეხნიკური სიზოგადოების სატერმინო სექციის მიერ შემუშავებული ტეხნიკური ლექსიკონი.

✦ ტფილისის საშუალო პოლიტეხნიკურ სასწავლებელში მოხოვნელები გაცილებით მეტი აღმოჩნდა, ვიდრე თავისუფალი ვაკანსიები არის. ამიტომ გამოცხადებულია კონკურსი.

✦ მიწათ-მოქმედების სამინისტროს ბორჯომის წყლის კონტრაგენტმა დ. ქებაძემ კონსტანტინეპოლში გაგზავნა ბორჯომის წყალი. წყალი გაიყიდება კონსტანტინეპოლის კანტორაში ქართულ ფულზე.

✦ ტფილისის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში ყველა ფაკულტეტზე სწავლა განახლდება ხუთშაბათს, ორ ოქტომბერს.

✦ 28 სექტემბერს ტფილისში გაიხსნა ტფილისის მაზრის ერობის ხმოსანთა ყრილობა, რომელზედაც მოისმინეს მოხსენებას გამგეობის მოქმედების შესახებ, განიხილავენ ხარჯთ აღრიცხვას და მოხდება ახალ გამგეობის არჩევნებს.

✦ 28 სექტემბერს ტფილისის პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს ბინაზე მოხდა ოფიციალური გახსნა ს. მაისურაძის ბიბლიოთეკა-სამკითხველოსი, რომელსაც დაესწრნენ: მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია, საგარეო საქმეთა მინისტრი ევ. გეგეჭკორი, სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის თავმჯდომარე ვ. ჯუღელი, ქალაქის თავი ბ. ჩხიკვიშვილი, დამფუძნებელი კრების წევრნი, პრესის წარმომადგენელნი და სხ. წარმოითქვა მრავალი სიტყვა. განსაკუთრებით შინაარსიანი იყო ევ. გეგეჭკორის და ვ. ჯუღელის სიტყვები.

✦ იურიდიულ საზოგადოების საბჭოს მიერ დავალებით საზოგადოების საბჭოს წევრმა გ. შალიბაშვილმა ქართულ უნივერსიტეტთან პრაქტიკულ იურიდიულ კურსების დაარსების შესახებ პროგრამა შეიმუშავა და ხსენებულ საზოგადოების საბჭოს განსახილველად წარუდგინა.

✦ რედაქციამ მიიღო მთავრიშვილის და ამხ. გამოცემა: „ანატომია და ფიზიოლოგია ჰიგიენით“, საშუალო სასწავლებელის კურსი, ნაწილი 1, რეალური სასწავლებელის პროგრამის მიხედვით შედგენილი ქუთაისისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის ექიმ ევსევი გიორგის ძის ლოსაბერიძის მიერ. წიგნი დასურათებული, სუფთად და კარგათაა გამოცემული, ღირს 15 მან.

✦ რედაქციამ მიიღო ალ. არაბიძის და ამხ. გამოცემა „მსოფლიო ისტორია“, დაწყებითი კურსი, ნაწილი 1, ძველ საუკუნეთა ისტორია—ალ. წერეთლისა. წიგნი დასურათებულია და ღირს 25 მან.

✦ ტფილისში მობრძანდენ: 28 სექტემბერს სწრაფი მატარებელით ბაქოდან დიდი ბრიტანეთის ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი გენერალი ნიუკონი.—29 სექტემბერს დილით ქუთაისიდან საქ. რესპ. გზათა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი ბ. ჭიჭინაძე და ინჟ. გ. თუმანოვი.

✦ ტფილისიდან წაბრძანდენ: 29 სექტ. დილით, ერევანში სწრაფი მატარებლით, დიდი ბრიტანეთის გენერალი ხორბარდი.—28 სექტ. სწრაფი მატარებლით ბათუმში ესტონეთის წარმომადგენელი სუმერი. -ბაქოში—საქართველოს გზათა სამინისტროს წარმომადგენელი ჩაჩიბაია.

# წესდება

**კავკასია-ევროპიულ ბანკისა.**

(ყოფილი „ა. ფრიდონოვისა და ამხანაგობისა“)

**ა ს ლ ი.**

ნამდვილს ზედ აწერია: „ვამტკიცებ 20 აგვისტოს 1918 წ. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგი (ხელი მოაწერა) **კ. კანდელაკი.**

სწორეა. კანცელარიის დირექტორი **ჭანტურიშვილი.**

§ 65

საზოგადო კრების საქმეა:

ა) არჩევა საბჭოსა და გამგეობის წევრთა.

ბ) საბოლოო დამტკიცება წლიურის ანგარიშებისა და წლიურ ხარჯთ აღრიცხვისა.

**შენიშვნა:** ანგარიშების განსახილველად და საზოგადო ბანკის ყველა მოქმედებისა, საზოგადო კრება ყოველ წელიწადს არჩევს სარევიზიო კომისიას ხუთ აქციონერთაგან ამ წესთა დაცვით, რომელიც [illegible] 1901 წ. 21 დეკემბრის კანონის მუხლებში—14—17.

ბ) დადგენილება ბანკის განყოფილებათა დაარსებისათვის,

დ) დადგენილება უძრავ ქონების შეძენისა ბანკის საჭიროებისათვის;

ე) დადგენილება წესდების შეცვლისა და დამატებისათვის;

ვ) დადგენილება ბანკის ძირითადის თანხის გადიდებისათვის თანახმად მე 4-ე §-ისა.

ზ) გადაწყვეტილება სარევიზიო კომისიის წევრთათვის ჯილდოს რაოდენობისა.

ც) დადგენილება საზოგადოების გაუქმებისა და ბანკის მოსპობისათვის.

**შენიშვნა:** საზოგადო კრების დადგენილებანი შესახებ წესდების შეცვლისა და დამატებისა, განყოფილებათა დაარსებისა და აგრეთვე ძირითადის თანხის გადიდებისა უნდა გამგეობის მიერ წარედგანოს ფინანსთა მინისტრს დასამტკიცებლად.

§ 66

საზოგადო კრებაზედ კენჭის ყრა ფარული უნდა იყოს, თუ ამას მოითხოვს თუნდა ერთი აქციონერი მაინც, რომელსაც ხმა აქვს. ფარული კენჭის ყრა სავალდებულოა, თუ საქმე შეეხება ზედამხედველობის ორგანოების და გამგეობის წევრთა არჩევას და გადაყენებას, აგრედვე სალიკვიდაციო კომისიის წევრთა არჩევას და მათ სამართალში მიცემას.

§ 67

იმ საქმეებისათვის, რომელსაც კრება არჩევს და ამტკიცებს, უნდა შესდგეს დაწვრილებითი ოქმი. ამ ოქმში საქმეთა გადაწყვეტილების აღნიშვნასთან ერთად უნდა იყოს მოხსენებული, რაოდენის ხმის უმეტესობით შეიწყნარა კრებამ ესა თუ ის საგანი ტ ალინიშნოს ისიცა, თუ ვინ რა ცალკე აზრი გამოსთქვა. ოქმს ადგენს თავმჯდომარის მიერ მოწვეული და პასუხის მგებელი-კი თავმჯდომარეა, თუ ოქმი არ შეეფერება იმ მსჯელობა გადაწყვეტილებას, რასაც კრებაზედ ჰქონდა ადგილი. ოქმის სწორედ შედგენას ამოწმებენ თავიანთ ხელის მოწერით საბჭოს საზოგადო კრების თავმჯდომარე და აგრედვე სხვა აქციონერებიც, მათ სურვილისამებრ, მხოლოდ მათი რიცხვი საზზედ ნაკლები არ უნდა იყოს.

გამგეობის მიერ შემოწმებული პირი საზოგადო კრების ოქმისა, ცალკე აზრისა, და საზოგადოდ ყოველის მისის დამატებისა უნდა მიეცეს თითოეულს აქციონერს, ვინც-კი ამას ისურვებს.

§ 68.

აქციონერთა წევრებს გამგეობისა და ზედამხედველ ორგანოებისას არა აქვთ ხმა (არც პირადად და არც სხვა აქციონერის რწმუნებულობით) იმ დროს, როდესაც არის მსჯელობა იმ საქმეზედ, რომელნიც ეხება მათ პასუხისგება—მიცემას ან მისგან განთავისუფლებას, თანამდებობიდან გადაყენებას, მათთვის ჯილდოს განსაზღვრას და მათგან ხელმოწერილ წლიურ ანგარიშის დამტკიცებას. როდესაც უნდა იყოს გადაწყვეტილი საზოგადოების ხელშეკრულობა ერთ-ერთ აქციონერთან, მაშინ ამ აქციონერს არა აქვს კრებაზედ ხმა არც პირადად თითონ, არც სხვა აქციონერის მონდობილობით.

§ 69.

მუშაობა ერთის საზოგადო კრებისა, თუ საჭიროება მოითხოვს, შეიძლება განგრძობილ იქნას რამდენსამე დღეს, მაგრამ არა უმეტეს ერთის კვირისა, და ვადა კრების განგრძობისა თითონ კრებამ უნდა დანიშნოს.

**ნ. ანგარიში.**

§ 70.

ბანკის საოპერაციო წელიწადი იწყება 1 იანვრიდან და თავდება 31 დეკემბერს.

**შენიშვნა:** თუ ბანკი 1 ივლისის შემდეგ დაარსდა, მაშინ დაარსების წელიწადი უნდა დაერთოს შემდეგს წელიწადს.

სტამბა საქართველოს მთავრობისა. დროებით რედაქტორი ვიქტორ ნოზაძე